შპს „ჯიმასტარო“

(ქ. ქუთაისი, სოფ. ჯიმასტარო)

დიზელის სამარაგო ავზებისა და გასამართი სვეტის მოწყობა-ექსპლუატაციის

სკრინინგის განაცხადი

შემსრულებელი: შპს „სამნი+“

დირექტორი:თეიმურაზ კეპულაძე

ტელ.: 5 91 15 72 72

შპს „ჯიმასტარო“-ს

დირექტორი: კობა გიორგაძე

ტელ.: 5 99 12 82 71

ქუთაისი 2022

შინაარსი

1. შესავალი 3

2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა..... 4

3. დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური პარამეტრები 15

4. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში 18

4.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება 18

4.2. საწარმო ხმაურის ზემოქმედება..... 19

4.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე 19

4.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე 20

4.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები..... 23

4.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე 26

4.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე26

4.8. სოციალურ ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება 26

4.9. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე..... 26

4.10. ავარიული რისკები 27

4.11. კუმულაციური ზემოქმედება 28

4.12. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება 28

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი 29

დანართი 1. იჯარის ხელშეკრულება. 30

დანართი 2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. 32

დანართი 3. ქუთაისის მერიის წერილი. 34

1. შესავალი

შპს „ჯიმასტარო“-ს (ს/კ 412724020) ქ. ქუთაისში სოფ. ჯიმასტაროში, შპს „ჯიემსისაგან“ იჯარით აღებულ (დანართი 1) არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 03.02.24.595 (დანართი 2)) დაგეგმილი გვაქვს დიზელის ავზების განთავსება-ექსპლუატაცია.

რადგან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 6.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, იგივე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარდგენილი იქნა გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

სააგენტოს 03.11.2022. N 21/6614 წრილით გამოგვეგზავნა შენიშვნაბი, ცალკეული საკითხების დაზუსტების მიზნით, რომლის შესაბამისადაც მოხდა სკრინინგის განაცხადის შესწორება.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი1.1. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ	
ოპერატორი კომპანია	შპს „ჯიმასტარო“
საიდენტიფიკაციო კოდი	412724020
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. ქუთაისი, სოფ. ჯიმასტარო
საქმიანობის განხორციელების მისამართი	ქ. ქუთაისი, სოფ. ჯიმასტარო
საქმიანობის სახე	დიზელით სამარაგო ავზების განთავსება/ექსპლუატაცია
დირექტორი	კობა გიორგაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 12 82 71
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
პროექტის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, სოფ. ჯიმასტარო
განთავსების ადგილი	შპს „ჯიემსი“-საგან იჯარით აღებული არასასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთი (საკ.კოდი 03.02.24.595)
ობიექტის განთავსების GPS კოორდინატი	X - 311682 , Y - 4685205
საპროექტო წარმადობა	200 000 ლ/წელ
ავზების ჯამური მოცულობა	11 $მ^3$
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	300
ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში, სთ	8 სთ

2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა

შპს „ჯიმასტაროს“ დიზელის ავზების განთავსება დაგეგმილია შპს „ჯიემსისაგან“ იჯარით აღებულ (დანართი 1) არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 03.02.24.595, ფართობი 200 მ²) (დანართი 2). იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის განთავსება მოცემულია ნახაზზე 2.1.

ნახაზი 2.1.



ტერიტორიას ირგვლივ ესაზღვრება შპს „ჯიემსი“-ს ქვიშახრეშის სამსხვრევი და ბეტონის საწარმოები.

საპროექტო ტერიტორიების წვეროთა ნუმერაცია და GPS კოორდინატები მოცემულია 2.2. ნახაზზე და 2.1 ცხრილში



ნახაზი 2.2. საწარმოს განთავსების ტერიტორიის წვეროთა ნუმერაცია

ცხრილი 2.1.

N	GPSკოორდინატები	
	X	Y
1	311678	4685214
2	311674	4685198
3	311684	4685195
4	311689	4685211

მიწის ნაკვეთი განთავსებულია ქ. ქუთაისში, სოფ. ჯიმასტაროს ტერიტორიაზე, ლესელიძის ქუჩის (ქუთაისი-ალპანა-მამისონის საავტომობილო გზის) მარჯვენა მხარეს.

ტერიტორიას აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება შპს „ჯიემსი“-ს ქვიშახრეშის სამსხვრევი საწარმო და ბეტონის კვანძები (სურათი 2.1.), ხოლო დასავლეთით და სამხრეთით მდებარეობს საავტომობილო გზა და სოფ. ჯიმასტარო. გზის მეორე მხარეს, სამხრეთით მდებარეობს ქვის დამამუშავებელი საწარმო (სურათიები 2.2.- 2.4.).

სურათი 2.1.

სურათი 2.2.

სურათი 2.3.

სურათი 2.4.

ტერიტორიის განთავსების სიტუაციური გეგმა მოცემულია ნახაზზე 2.3.

ნახაზი 2.3

სოფელი
ჯიმასტარო
ქუთაისი-ალპანა-მამისონი
საპროექტო
ტერიტორია
ქვიშა ხრეშის სამსხვრევი
მდინარე რიონი
უახლოესი
საცხოვრებელი
ქუთაისი-ალპანა-მამისონის საავტომობილო გზა
ქვის დამამუშავებელი
საწარმო

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სამრეწველო ზონაში (დანართი 3. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის N10-4422264422 წერილი). ამჟამად ტერიტორიაზე განთავსებულია ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო, ბეტონის კვანძები, ადმინისტრაციული შენობა (სურათი 2.5.).

სურათი 2.5.

საპროექტო მიწის ნაკვეთიდან უახლოესი წყლის ობიექტი მდ. რიონი დაშორებულია 200 მ-ით. უახლოესი საავტომობილო გზა 60 მ-ით. ტერიტორიამდე გზა შემოდის ლესელიძის ქუჩიდან (ქუთაისი-ალპანა მამისონის საავტომობილო გზა) (სურათი 2.6.). უახლოესი სატყეო ფონდის მიწა მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთით, განსახილველი ტერიტორიიდან 150 მ-ის დაშორებით.

სურათი 2.6. შემოსასვლეი გზა

უახლოესი საცხოვრებელი სახლი განთავსებულია სამხრეთ-დასავლეთით 110 მ-ის დაშორებით (სურათი 2.7.). განსახილველი ნაკვეთიდან სამხრეთით, 140 მ-ის დაშორებით, საავტომობილო გზის მეორე მხარეს მდებარეობს ქვის დამამუშავებელი საწარმო.

სურათი 2.7.

განსახილველი ტერიტორიის დაშორება უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან მოცემულია ნახაზზე 2.4.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მთის ფერდობის ძირში (სურათი 2.8.), რელიეფი ვაკეა, მცირედ დახრილია მდ. რიონის კალაპოტისაკენ. მთის ფერდობზე განსახილველი ტერიტორიიდან 15 მერტით მაღალ ნიშნულზე განთავსებულია ლესელიძის ქუჩა (ქუთაისი-ალპანა-მამისონის საავტომობილო გზა), გზის ზემოთ სოფელი ჯიმასტარო. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიასთან შედარებით 23 მ-ით მაღალ ნიშნულზეა (ნახაზი 2.5.).

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საავტომობოლო გზას შორი ფერდობი დაფარულია ხე მცენარეების ზოლით (სურათი 2.9.).

სურათი 2.8.

სურათი 2.9.


29.03.38.097
29.03.38.055
03.02.24.432
თავისუფალი
მიწის ნაკვეთები
03.02.24.200
03.02.24.309
03.02.24.311
03.02.24.312
29.03.38.116
29.03.38.213
29.03.38.234
29.03.38.226
200.30.30929
სოფ.
ჯიმასტარო
ოფისი
200 მ
ქვიშა-ხრეშის
სამსხვრევი
60 მ
110 მ
140 მ
150 მ
ბეტონის
ქარხნები
საცხოვრებელი
სახლი
ქვის ქ-ნა
სატყეო ფონდის
მიწა
მდინარე ნიოფი
კონსტანტინე ლესელიძეს ქუჩა

ნახაზი 2.4.


Н-164 მ
საპროექტო ტერიტორია
Н-163 მ
Н-187 მ
საცხოვრებელი სახლი
ტერიტორიაზე ჩასასვლელი გზა
საავტომობილო გზა
S16
Н-179 მ
ქვის ქარხანა
Н-181 მ

ნახაზი 2.5.

საპროექტო ტერიტორიის 500 მ-იან რადიუსში განთავსებულია შპს “ჯიემსის” საწარმოო ობიექტები, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთს, სამხრეთით 140 მ-ში განთავსებულია ქვის დამამუშავებელი, ხოლო ჩრდილოეთით 340 მ-ში ტყავის გადამამუშავებელი საწარმო.

500 მეტრიანი რადიუსის საზღვრებში ხვდება დასახლებული პუნქტი, სოფ ჯიმასტარო, მდინარე რიონი, თავისუფალი ნიწის ნაკვეთები და სატყეო ფონდის მიწები.

500 მეტრიანი ზონის საზღვარი და ობიექტები მოცემულია ნახაზზე 2.6.



ნახაზი 2.6.

საპროექტო, იჯარით აღებული ტერიტორიაზე სამხრეთ ნაწილში განთავსებულია ბეტონის მასიური საძირკველი (სურათი 2.10.), რომელიც ირგვლივ შემოღობილია მავთულბადით.

ტერიტორია დაფარულია ბეტონის საფარით. მეიჯარის განმარტებით ბეტონის საძირკველის მოწყობა მოხდა წლების წინ (მასზე დაგეგმილი იყო სილოსის დადგმა, რომელიც სხვა ტერიტორიაზე განთავსდა). ამჟამად ტერიტორია უფუნქციოა.

სურათი 2.10.

3. დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური პარამეტრები

საქმიანობის მიზანს წარმოადგენს დიზელის საწვავის შენახვა/რეალიზაცია. შპს „ჯიმასტაროს“ დაგეგმილი აქვს არსებულ ბეტონის საძირკვლებზე დადგას ორი მიწისზედა ლითონის რეზერვუარი, 4 500 ლ და 6 500 ლ-ის მოცულობის, ჯამური მოცულობა 11000 ლ.

ავზებიდან ერთი (4 500 ლ-იანი) იქნება ოთხკუთხა ფორმის, ხოლო მეორე (6 500 ლ-იანი) ცილინდრული ფორმის. რეზერვუარების განთავსება მოხდება არსებულ მობეტონებულ ბაქანზე, რომელზედაც მოეწყობა ლითონის საყრდენებზე დაფუძნებული თუნუქის სახურავი.

ორივე ავზები მიერთებული იქნება ერთ სასუნთქ სარქველზე, რომლის დიამეტრი იქნება 50 მმ, ხოლო სიმაღლე 2,5 მ.

ავზებიდან დიზელის გაცემის მიზნით დამონტაჟდება ერთი სვეტი, ერთი ფისტოლეტით. მისი განთავსება დაგეგმილია საყრდების ჩრდილოეთ მხარეს, შემოღობილი ტერიტორიის შიგნით.

საპროექტო ავზები მოცემულია გენ-გეგმაზე (ნახაზი 3.1.).

ნახაზი 3.1.



წლის განმავლობაში ობიექტზე გათვალისწინებულია 200 000 ლ დიზელის შენახვა/მოხმარება. ობიექტის სამუშაო გრაფიკი იქნება 300 დღე წელიწადში, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით.

საწვავის გასაცემი მოედანი, შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკრების მიზნით, აღჭურვილი იქნება სანიაღვრე წყალშემკრები სისტემით და ნავთობპროდუქტების დამჭერით.

სანიაღვრე წყლების არინება მოხდება სანიაღვრე არხში, რომელიც მდებარეობს საპროექტო მიწის ნაკვეთის სამხრეთით და ჩაედინება მდ. რიონში.

საპროექტო დიზელის ავზები მოცემულია ნახაზებზე 3.2. და 3.3.



ექსპლიკაცია

1. დიზელია ავზი - V 6500 ლ.
2. დიზელია ავზი - V 4500 ლ.
3. სასუნთქი სარქველი;
4. გასამართი სვეტი;
5. თუნუქის სახურავი;
6. ბეტონის საყრდენი;
7. ჩასასხმელი მილი;
8. ავზების თავსახური (ლუქი);
9. სანიაღვრე წყალშემკრები;
10. ნავთობდამჭერი.

ნახაზი 3.2. ხედი - A



ნახაზი 3.3. ხედი -B.

ავზების ექსპლუატაციისათვის დამატებით დამხმარე ნაგებობების მოწყობა არ იგეგმება. საწვავის გაცემას მოემსახურება ერთი თანამშრომელი, რომელიც ისარგებლებს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული, შპს „ჯიემსის“ საყოფაცხოვრებო სათავსოთი.

4. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობაზე შესაძლო ზემოქმედება; ხმაურის გავრცელება; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოსალოდნელი დაბინძურება; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება და სხვა. რისკების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნა საპროექტო საწარმოს ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მდებარეობა.

4.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება

ობიექტის ფუნქციონირების დროს მოსალოდნელია ნახშირწყალბადების გამოყოფა და გაფრქვევა დიზელის საწვავის მიღებისა და გაცემისას. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის

(საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #435) შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას დიზელის მიღება-შენახვა-რეალიზაციის დროს გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა შეადგენს 0,0025გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე.

ობიექტის ბიზნეს გეგმის შესაბამისად ნავარაუდევია წლიურად 200 000 ლ დიზელის საწვავის მიღება/რეალიზაცია.

აქედან გამომდინარე გამოყოფილი ნახშირწყალბადების რაოდენობა იქნება:

$$G_{\text{ნახშირწყალბადები}} = 200\,000 \times 0{,}0025/10^6 = 0{,}0005 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ნახშირწყალბადები}} = 0{,}0005 \times 10^6/(300 \times 8 \times 3600) = 0{,}000058 \text{ გ/წმ};$$

როგორც გაანგარიშების შედეგები აჩვენებს, გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა იმდენად მცირეა, ობიექტის ტერიოტორიაზე ნახშირწყალბადების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს.

ამდენად ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი.

4.2. საწარმო ხმაურის ზემოქმედება

დიზელის ავზების ექსპლუატაციის პროცესი არ ითვალისწინებს ხმაურწარმომქმნელი მანქანა-დანადგარების განთავსებას და გამოყენებას. ობიექტზე ხმაურის წარმოქმნა შესაძლებელია მხოლოდ ავტოტრანსპორტის გადაადგილებით, დიზელის შემოტანა/შენახვისა და ავტომობილების გამართვის დროს. ავზების მოცულობისა და დაგეგმილი წარმადობის შესაბამისად, დიზელის საწვავის მიღება–შენახვის ინტენსივობა შეადგენს წელიწადში მაქიმუმ 20–ს, თვეში საშუალოდ 1-დან 2-მდე. რაც არსებული საქმიანი ეზოს პირობებში შესამჩნევი არ იქნება.

ავზების მოწყობა იგეგმება შპს „ჯიემსის“ ტერიტორიაზე გამოყენებული ტრანსპორტის გასამართად. დიზელის გაცემა დამატებით ხმაურს არ გამოიწვევს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამატებითი ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება არ არის მოსალოდნელი.

4.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე

საწარმოს განთავსება დაგეგმილია წლების განმავლობაში სამეწარმეოდ ათვისებულ ტერიტორიაზე. მასზე წლების განმავლობაში ფუნქციონირებს ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი და ბეტონის საწარმოები. ლანდშაფტი მთლიანად ანთროპოგენურია, ამიტომ დიზელის ავზების მოწყობა მნიშვნელოვან გავლენას ლანდშაფტზე ვერ მოახდენს.

ამასთან, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საავტომობილო გზიდან 15 მეტრით დაბალ ნიშნულზე, ტერიტორიასა და გზას შორის ფერდობი დაფარულია ხე მცენარეების ზოლით. საპროექტო ტერიტორია მგრძნობიარე რეცეპტორებიდან არ ჩანს.

დიზელის ავზების განთავსება იგეგმება არსებულ ბეტონის საყრდენზე, იჯარით აღებული ტერიტორია მობეტონებულია, დამატებით სამშენებლო სამუშაოების ჩატარება საჭირო არ არის. მისი მოწყობა-ექსპლუატაციით არ არის მოსალოდნელი ხე მცენარეების მოჭრა, ფრინველთა და ცხოველთა საარსებო გარემოს მოშლა, ხმაურისა და ემისიების გავრცელება.

ტერიტორიასა და საავტომობილო გზას შორის ფერდობზე გავრცელებულია თხმელის, აკაციის, გლედიჩიას ჯიშის ხე-მცენარეები, მაყვლისა და ეკალღიჭის ბუჩქები. წითელი ნუსხის სახეობები ტერიტორიის მიმდებარედ არ არის გამოვლენილი. მიმდებარედ გავრცელებული ფრინველთა და ცხოველთა სახეობები შეგუებული არიან ანთროპოგენურ გარემოში ბინადრობას. შესაბამისად ფლორასა და ფაუნაზე დამატებითი უარყოფითი გავლენის მოხდენა მოსალოდნელი არ არის.

4.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე

დიზელის ავზების ექსპლუატაციით წყლის რესურსებზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში წყალი არ გამოიყენება, შესაბამისად არ წარმოიქმნება საწარმოო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები.

ავზების ექსპლუატაციისათვის საკმარისია ერთი თანამშრომელი, რომელიც ისარგებლებს მიმდებარედ არსებული ჯიემსის საყოფაცხოვრებო სათავსოთი. შპს „ჯიემსის“ საყოფაცხოვრებო წყალმომარაგება ხდება მიწისქვესა ჰორიზონტიდან, ლიცენზიის საფუძველზე, ხოლო საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებისათვის მოწყობილია საასენიზაციო ორმო.

რაც შეეხება სანიაღვრე წყლებს, ავზების განთავსების ტერიტორია გადახურული იქნება თუნუქის სახურავით შესაბამისად მოსალოდნელი არ არის ავზების ტერიტორიიდან სანიაღვრე წყლების წარმოქმნა. გასამართი სვეტის ტერიტორია იქნება მობეტონებული და აღჭურვილი შემკრები არხებით და ნავთობდამჭერით, შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების დაჭერის მიზნით. ნავთობდანჭერის ეფექტურობა იქნება არააკლებ 98 %-ისა.

სანიაღვრე წყლების არინება მოხდება ტერიტორიის ქანობის შესაბამისად, სამხრეთ მხარეს არსებულ სანიაღვრე არხში. სანიაღვრე არხი არ არის ვინმეს საკუთრებაში, წარმოადგენს სანიაღვრე წყლების გამტარს, რომელიც ბუნებრივადაა მოწყობილი.

წყალარინების სქემა მოცემულია ნახაზზე 4.1.

გასამართი მოედნის ფართობი იქნება 30 მ^2. სანიაღვრე წყლის წლიური მოცულობა, სამშენებლო კლიმატოლოგიის შესაბამისად იქნება:

$$Q = 10 \times 0{,}0003 \times 1\,377 \times 0{,}264 = 1{,}09 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

ხოლო დღეღამური მაქსიმუმი შეადგენს:

$$Q = 10 \times 0{,}0003 \times 132 \times 0{,}264 = 0{,}104 \text{ მ}^3/\text{დღ}$$

უთანაბრობის კოეფიციენტის გათვალისწინებით, სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მოსალოდსნელი საათური მოცულობა იქნება: 0,104 ×3,5 ÷24 = 0,015 მ³/სთ (0,0000042 მ³/წმ.). მდ. რიონის საშუალო ხარჯი საანგარიშო კვეთში შეადგენს 126 მ³/წმ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წყალშეკრების მცირე ფართობის გამო სანიაღვრე წყლების ხარჯი იმდენად მცირე იქნება, ნავთობდამჭერის გავლის შემდეგ ვერ მოახდენს რაიმე გავლენას მდ. რიონის ხარისხზე.

ზემოაღნიშნულისდან გამომდიარე ობიექტის ექსპლუატაციით ზედაპირული წყლის რესურსების დაბინძურების რისკი ძალიან დაბალია.

მდინარეში არხის
ჩაშვების წერტილი
X – 311841 ; Y - 4685352
ბუნებრივი
სანიაღვრე არხი
საპროექტო
ნაკვეთი
არხში სანიაღვრე წყლების
ჩაშვების წერტილი
X – 311669 ; Y - 4685200

ნახაზი 4.1.

4.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

დიზელის ავზების ექსპლუატაციის შედეგად ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

ობიექტის მოსაწყობად სამშენებლო სამუშაოები საჭირო არ არის. ავზები შემოიტანება სატვირთო მანქანით (ე.წ. მანიპულატორით) და დაიდგმება არსებულ ბეტონის საყრდენზე, შესაბამისად სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, დიზელით გამართვას მოემსახურება ერთი თანამშრომელი, როელიც ისარგებლებს შპს „ჯიემსის“ საყოფაცხოვრებო სათავსოთი. შპს „ჯიემსი“-ს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება ააიპ ქუთაისის სპეციალური სერვისების მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.

ნარჩენების წარმოქმნა შესაძლებელია ნავთობპროდუქტების შემთხვევით დაღვრის შემთხვევაში და გასამართი მოედნის ნავთობდამჭერის მომსახურეობის შედეგად (წელიწადში 1ლ.-მდე ნავთობიანი წყალი). ნარჩენები შეგროვებული იქნება სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით მარკირებულ კონტეინერებში, დროებით დასაწყობდება ნარჩენების დახურულ სათავსოში და გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტაქტორს.

მოსალოდნელი ნარჩენების სახეობის, რაოდენობისა და მისი მართვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 4.1.

გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების წესების დაცვის შემთხვევაში ნარჩენების წარმოქმნისა და გარემოს დაბინძურების რისკი ძალიან დაბალია.

ცხრილი 4.1.

N	ნარჩნის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	სახიფათოობის მახასიათებელი	განთავსების/ აღდგნის ოპერაციები	სავარაუდო რაოდენობა წელიწარში	შემდგომი მართვა
1	15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრის ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხავა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანისამოსი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთირებებით	დიახ	H15	D10	5 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: “ბრძანება N-1037” 30.12.2015
2	13 05 03*	ნავთობდამჭერის ნალექი (შესაძლებელია შეიცავდეს ნავთობპროდუქტებს)	მყარი	H5	D10	1 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ჰერმეტულ კასრში. კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით გადაეცემა „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: “ბრძანება N-1037” 30.12.2015

3	13 05 07*	ზეთიანი, ნავთობიანი წყალი ნავთობი, ზეთი/წყლის სეპარატორიდან	თხევადი	H5	D9/ D10	1 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ჰერმეტულ კასრში. კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით გადაეცემა შპს „სანიტარს“

4.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე

დაგეგმილი წარმადობის შესაბამისად, დიზელის შემოტანა-ჩასხმა ობიექტზე მოხდება 20 -ჯერ, რაც თვეში შეადგენს 1-დან 2-მდე ინტენსივობას, რაც ობექტის განთავსების გათვალისწინებით შეუმჩნეველი იქნება მოსახლეობისთვის და გზის ინფრასტრუქტურისათვის.

დიზელის ავზების მოწყობა დაგეგმილია ადგილზე მოხმარებისათვის, იგი მოემსახურება მიმდებარედ არსებული საქმიანი ეზოს ავტოტრანსპორტს, შესაბამისად მისი ფუნქციონირების შედეგად სატრანსპორტო ნაკადების გაზრდა არ მოხდება.

ზემოაღნიშნლის გათვალისწინებით სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

4.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საპროექტო ობიექტის განთავსების ადგილის სიახლოვეს დაცული ტერიტორიები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობს და აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

4.8. სოციალურ ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

ობიექტის ექსპლუატაციისათვის საჭირო იქნება ერთი თანამშრომლის დამატება.

ამდენად, პირდაპირი, მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელი არ არის.

4.9. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის. ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევისა და გაუფრთხოლებლობით შექმნილი ავარიული სიტუაციების შემთხვევაში.

საპროექტო ტერიტორია შემოღობილია მავთულბადით, ღობე შენარჩუნებული იქნება ექსპლუატაციის ეტაპზე, რაც გამორიცხავს ავზების სიახლოვეს ადამიანებისა და ავტოტრანსპორტის მოხვედრას.

ობიექტზე დაცული იქნება შრომისა და სახანრო უსაფრთხოების წესები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკი იქნება დაბალი.

4.10. ავარიული რისკები

მიუხედავად იმისა, რომ ობიექტი წარმოადგენს მცირე მოცულობისა და წარმადობის დიზელის შესანახ ავზებს, მაინც არსებობს ავარიული სიტუაციების რისკი. შესაბამისად კომპანია მზად უნდა იყოს შესაძლო ავარიების პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის.

ავარიის პრევენცია და ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად, რომლის მიზანია მომსახურე პერსონალის, მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოების დაცვა.

შესაძლო ავარიებიდან საწარმოსათვის ყველაზე სენსიტიურია ხანძარი, რომლის ლიკვიდაცია და რეაგირება საჭიროა სათანადო სამსახურთან შეთანხმებული სახანძრო უსაფრთხოების გეგმის შესაბამისად.

დიზელის ავზების განთავსების პროექტის შედგენა მოხდება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად:

ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილზე განთავსდება სახანძრო უსაფრთხოების სტენდი, რომელზედაც მოთავსებული იქნება საჭირო რაოდენობის ცეცხლმაქრი და სხვა ინვენტარი.

შედგენილი იქნება ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა, თანამშრომლებისათვის მომზადებული იქნება სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქციები;

არ მოხდება რეზერვუარების საწვავით შევსება და გაცემა ჭექა-ქუხილის და ატმოსფერული განმუხტვის საშიშროების არსებობის დროს;

დაუშვებელია მომსახურე პერსონალის საწვავით დაბინძურებული და ნაპერწკლების წარმოქმნის საშიშროების მქონე ტანსაცმლით და ფეხსაცმლით მუშაობა;

ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა იყოს შემუშავებული შესაძლო ხანძარსაშიში სიტუაციების, მათი განვითარების სცენარის, ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსის მომსახურე პერსონალის და ავტოცისტერნის მძღოლის მოქმედების, აგრეთვე ხანძრის გავრცელების შესაბამის სტადიებზე მომსახურე პერსონალის სახანძრო-სამაშველო დანაყოფებთან ურთიერთმოქმედების წესის გათვალისწინებიით.

დიზელის გასამართის მომსახურე პერსონალს და ავტოცისტერნების მძღოლებს არანაკლებ 6 თვეში ერთხელ უნდა ჩაუტერდეს ტრენინგები ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო სიტუაციების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, თითოეული კონკრეტული სიტუაციის გავარჯიშებით და შესაბამისი შედეგების სპეციალურ ჟურნალში დარეგისტრირებით.

ავზების განთავსების ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა აკრძალულია.

ზემოაღნიშული წესებისა და მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში ავარიული სიტუაციების აღმოცენებისა და გავრცელების რისკი იქნება ძალიან დაბალი.

4.11. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. ამდენად, კუმულაციური ზემოქმედების განხილვა უნდა მოხდეს ჯამური ეფექტის მქონე ემისისების შემთხვევაში.

კუმულაციური ზემოქმედებიდან აღსანიშნავია:

- მავნე ნივთიერებათა ემისიები ატმოსფერულ ჰაერში;
- ხმაურის გავრცელება;
- ზედაპირული წყლების დაბინძურება;
- საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენებით გარემოს დაბინძურება.

საპროექტო დიზელის საცავიდან 500 მეტრიან რადიუსში არ არის განთავსებული ჯამური ემისიების ობიექტი, შესაბამისად კუმულაციურ ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

ობიექტზე არ იგეგმება ხმაურწარმომქმნელი წყაროს დამონტაჟება, შესაბამისად ხმაურზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

დიზელის ავზების განთავსების ტერიტორია იქნება გადახურული ატმოსფერული ნალექებისაგან დაცვის მიზნით, შესაბამისად ზედაპირულ წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის, შესაბამისად ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი და შემარბილებელ ღონისძიებებს არ საჭიროებს.

4.12. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

საპროექტო ობიექტის მდებარეობის, საქმიანობის ტიპისა და მასშტაბის გათვალისწინებთ ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

დანართები

დანართი 1. იჯარის ხელშეკრულება.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

01 სექტემბერი 2022 წელი ქ. ქუთაისი

ხელშეკრულების მხარეები:

შპს „ჯიმასტარო“ (ს.ნ. 412724020), დირექტორი კობა გიორგაძე, შემდგომში “მოიჯარე”.

შპს „ჯიემსი“ (ს.ნ. 412695837), დირექტორი თეიმურაზ მინაშვილი, შემდგომში “მეიჯარე”.

შევთანხმდით შემდეგზე:

1 ხელშეკრულების საგანი

1.1 მეიჯარე იჯარით გადასცემს მოიჯარეს, ქ. ქუთაისში, სოფელ ჯიმასტაროში მდებარე ქვის გადამამუშავებელ საწარმოს ტერიტორიაზე (საკ. კოდი 03.02.24.595) 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (დანართი №1) საწვავის ავზის მოსაწყობად.

2 სახელშეკრულებო ღირებულება

2.1. საწვავის საცავის ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 100 ლარით დღგ-ს ჩათვლით.

2.2. ამ ხელშეკრულების მიხედვით ასანაზღაურებელი თანხების ოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმებით.

3. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედების ვადა, ვადამდე მოშლა

3.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოიჯარეს უფლება აქვს გამოიყენოს ქონება.

3.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბრამდე. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

3.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან, ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში მოშალონ ხელშეკრულება მასში აღნიშნული ვადის გასვლამდეც.

4. დასკვნითი დებულებები

4.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ექზემპლარად;

4.2 ურთიერთობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

4.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ნაწილი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

5. მხარეთა რეკვიზიტები

"მოიჯარე"

შპს „ჯიმასტარო" ს/კ 412 724 020

დირექტორი კობა გიორგაძე; ტელ: – 599 14 41 82

"მეიჯარე"

შპს „ჯიემსი" ს/კ 412 695 837

იურიდიული მის: ქ. ქუთაისი, სოფ. ჯიმასტარო.

დირექტორი: თეიმურაზ მინაშვილი;

"მოიჯარე"	"მეიჯარე"
შპს „ჯიმასტარო"	შპს „ჯიემსი"
დირექტორი	დირექტორი
_____	_____

დანართი 2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 03.02.24.595**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022467397 - 27/06/2022 12:00:26

მომზადების თარიღი
27/06/2022 13:37:05

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ქუთაისი	უქიმერიონი		
03	**02**	**24**	**595**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 36848.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **03.02.24.484; 03.02.24.321; 03.02.24.397;**

მისამართი: ქალაქი ქუთაისი , სოფელი ჯიმისგარი ; რაიონი წყალტუბო , სოფელი ჯიმისგარი

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2, N3, N4, N5

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882015727494 , თარიღი 21/12/2015 13:07:41
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 24/12/2015

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:21/12/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გადაწყვეტილება #161034 , დამოწმების თარიღი:04/07/2016 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:01/08/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:23/07/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:30/12/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:14/05/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გადაწყვეტილება განცხადებების დასაბუთებულობის დადასტურებისა და მიწის ნაკვეთების მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების შესახებ N281945 , დამოწმების თარიღი:20/11/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:24/02/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:24/07/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:06/06/2018 , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გადაწყვეტილება N64969 , დამოწმების თარიღი:21/02/2019 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გადაწყვეტილება N281945 , დამოწმების თარიღი:20/11/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:17/02/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:17/02/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "ჯიემსი", ID ნომერი:412695837

მესაკუთრე:
შპს "ჯიემსი"

აღწერა:

იპოთეკა

საგალასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგრძალავრა აქციის რეალიზაციისას, აგრეთვე საგალასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სანაცვლად მიღებისას სამემკვიდრეო გალასახადი გალასხის ვალდებულება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი ამავე ვადაში წარუდგენს ლეკლარაციას საგალასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგალასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგალასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია სადაო რეესტრის ერთიანი სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ კერძოდაცულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს აკრედიტებულ პირებთან;
- ამონაწერში აღწერილი სარეგისტრაციო აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეიტანეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- სადაო რეესტრის თანამშრომლისგან მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგწერეთ ელ-ფოსტაზე: info@napr.gov.ge

დანართი 3. ქუთაისის მერიის წერილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო
ნებართვების სამსახური
KUTAISI CITY MUNICIPALITY
SPATIAL PLANNING, MONUMENT PROTECTION AND CONSTRUCTION
PERMITS OFFICE

წერილის ნომერი: **10-4422264422**
თარიღი: **21/09/2022**

ადრესატი: შპს ჯიმასტარო
საიდენტიფიკაციო ნომერი: 412724020
მისამართი: ქ. ქუთაისი, ს. ჯიმასტ

ბატონო კობა,

თქვენს 2022 წლის 13სექტემბრის N 19/4422256180-44 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ 03.02.24.595 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამუშავების გათვალისწინებით, აღნიშნული ტერიტორია მოიაზრება, როგორც დეგრადირებული (დასაზუსტებელი).

დამატებით გაცნობებთ, რომ დღესდღეობით ფაქტობრივი მდგომარეობით მიწის ნაკვეთზე ს/კ 03.02.24.595 განთავსებულია ინერტული მასალების გადამამუშავებელი ქარხანა, მიმდებარე ტერიტორია არ არის განაშენიანებული.

პატივისცემით, ,

რუსუდან ჩინჩალაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 4600, ქუთაისი, რუსთაველის გამზ. N3 ტელ: +995 599 976 277; ელ-ფოსტა: BUILDINGPERMITOFFICE@KUTAISI.GOV.GE; ვებ-გვერდი: WWW.MS.GOV.GE
N3 RUSTAVELI AVE, KUTAISI. GEORGIA, 4600. TELEPHONE: +995 599 976 277; E-MAIL: BUILDINGPERMITOFFICE@KUTAISI.GOV.GE; WEBSITE: WWW.MS.GOV.GE